# მემორანდუმი

სსიპ შემოსავლების სამსახურსა და სსიპ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურს (საქსტატს) შორის თანამშრომლობის შესახებ

ქ. თბილისი

10 ივნისი 2014 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - შემოსავლების სამსახური (შემდგომში - შემოსავლების სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის ირაკლი გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (შემდგომში - საქსტატი), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მერი დაუშვილის სახით, შემდგომში - წოდებულნი მხარეებად, ხელმძღვანელობენ რა საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 თებერვლის №73 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისათვის (საქსტატი) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – შემოსავლების სამსახურის მიერ იდენტიფიცირებული ინფორმაციის გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის მე-4 პუნქტით, დებენ წინამდებარე თანამშრომლობის მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი) და თანხმდებიან შემდეგზე:

**მუხლი 1. მხარეთა უფლება - მოვალეობები**

1. საქსტატის უფლება-მოვალეობებია:

ა) საქსტატი შემოსავლების სამსახურს მიაწვდის სტატისტიკურ ინფორმაციას (გარდა კონფიდენციალური ინფორმაციისა) ამ მემორანდუმის N1 დანართის შესაბამისად;

ბ) საქსტატი შემოსავლების სამსახურს უზრუნველყოფს შემოსავლების სამსახურის ინტერესების სფეროში შემავალი სტატისტიკური პროდუქტებით;

გ) საქსტატი უფლებამოსილია მოითხოვოს შემოსავლების სამსახურის კომპეტენციაში შემავალი და წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

დ) საქსტატი უფლებამოსილია მოითხოვოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2. შემოსავლების სამსახურის უფლება-მოვალეობებია:

ა) შემოსავლების სამსახური საქსტატს მიაწვდის ინფორმაციას ამ მემორანდუმის N2 დანართის შესაბამისად;

ბ) შემოსავლების სამსახური, თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქსტატს აღმოუჩენს შესაბამის დახმარებას ინფორმაციის მოპოვებასა და მიღების ორგანიზებაში;

გ) შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია, მოითხოვოს საქსტატის კომპეტენციაში შემავალი და წინამდებარე მემორანდუმით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება;

დ) შემოსავლების სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შეხვედრა (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**მუხლი 2. სამუშაო ჯგუფი**

1. მხარეს შეუძლია მოითხოვოს ერთობლივი სამუშაო ჯგუფის შექმნა და სამუშაო ჯგუფში მიავლინოს შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლები.
2. სამუშაო ჯგუფი შედგება ყოველი კონკრეტული შეხვედრისათვის მხარეთა მიერ წარმოდგენილი შესაბამისი კომპეტენციის მქონე თანამშრომლისაგან.
3. ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით.
4. სამუშაო ჯგუფი უფლებამოსილია:

ა) მხარეებს წარუდგინოს წინადადებები და რეკომენდაციები სტატისტიკური პროდუქტების შესახებ;

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია სტატისტიკური კვლევების მეთოდების შესახებ და მათთან დაკავშირებით შეიმუშავოს შენიშვნები და რეკომენდაციები;

გ) განიხილოს მხარეთა ინტერესებში შემავალი სხვა საკითხები.

**მუხლი 3. ინფორმაციის მიწოდების ფორმა**

1. მემორანდუმით გათვალისწინებული ინფორმაცია მხარეს უნდა მიეწოდოს ელექტრონული ფორმით, №1 და №2 დანართებით განსაზღვრულ ვადებში.
2. თუ მხარისათვის ინფორმაციის მიწოდების ვადა ემთხვევა არასამუშო დღეს, ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მომდევნო სამუშაო დღეს.

**მუხლი 4. მხარეთა განცხადებები**

მხარეები აცხადებენ, რომ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების შესრულება არ წარმოშობს ფინანსურ ვალდებულებებს.

**მუხლი 5. დასკვნითი დებულებები**

1. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგანაც ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მხარეს.
2. მემორანდუმში ცვლილების ან/და დამატების შეტანა ხორციელდება მხარეთა ურთიერთშეთანხმებით, წერილობითი ფორმით.
3. მემორანდუმი ძალაშია მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ მის გაუქმებამდე.

**მუხლი 6. მხარეთა ხელმოწერები**

**შემოსავლების სამსახური:**

საქართველო, ქ. თბილისი 0114,

ვ. გორგასლის ქ. N16

ირაკლი გვარამაძე

სამსახურის უფროსი

**საქსტატი:**

საქართველო, ქ. თბილისი 0181,

დადიანის ქ. N30

მერი დაუშვილი

აღმასრულებელი დირექტორი

*დანართი №2*

| N | ინფორმაციის სახე | მიწოდების თარიღი |
|---|---|---|
| 1 | GPRS და crypto-ს მოდულის ფისკალური საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის ბაზიდან ინფორმაციას თითოეული სალარო აპარატის მფლობელის საიდენტიფიკაციო ნომრის, აპარატის განთავსების ადგილის მისამართის და აპარატის მიხედვით ბრუნვის ოდენობის შესახებ | ყოველი თვის პირველი კვირის განმავლობაში |
| 2 | დამატებული ღირებულების გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით | დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 3 | საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით (ყოველთვიური) | დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 4 | საშემოსავლო გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით (წლიური) | ყოველი წლის 15 აპრილისთვის (ძირითადი ნაწილი), დამატებით ყოველთვიურად თვის დეკლარაციებთან ერთად |
| 5 | მოგების გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით | ყოველი წლის 15 აპრილისთვის (ძირითადი ნაწილი), დამატებით ყოველთვიურად თვის დეკლარაციებთან ერთად |
| 6 | საწარმოს/ორგანიზაციის ქონების გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით | ყოველი წლის 15 აპრილისთვის (ძირითადი ნაწილი), დამატებით ყოველთვიურად თვის დეკლარაციებთან ერთად |
| 7 | ფიზიკური პირის ქონების გადასახადის დეკლარაციის ბაზიდან ინფორმაცია თითოეული ველის მიხედვით | ყოველი წლის 15 ნოემბრისთვის |
| 8 | საანგარიშო თვის მიხედვით განაცემებისა და დაკავებული გადასახადის შესახებ ინფორმაციის ბაზიდან მონაცემებს თითოეული ველის მიხედვით | ინფორმაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ 5 სამუშაო დღის განმავლობაში |
| 9 | მონაცემები გადასახადის გადამხდელის საქმიანობის შეწყვეტის შესახებ (შეწყვეტის დეკლარაციების მიხედვით) | დეკლარაციის წარდგენის ვადის ამოწურვის შემდგომ 5 სამუშაო დღის განმავლობაში |

ა.ა.ი.პ. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური – საქსტატი * LEPL NATIONAL STATISTICS OFFICE OF GEORGIA-GEOSTAT * საქმისწარმოება

შემოსავლების სამსახური * საქმისწარმოების სამმართველო * სამსახურის აპარატი

დანართი №1

| N | სტატისტიკური პროდუქტები | მიწოდების თარიღი (წინასწარი მონაცემები) | მიწოდების თარიღი (საბოლოო მონაცემები) |
|---|---|---|---|
| 1 | საგარეო ვაჭრობა (ექსპორტი, იმპორტი) ქვეყნების, ქვეყანათა ჯგუფების, პროდუქციებისა და ტრანსპორტის სახეობების მიხედვით | მოთხოვნის შესაბამისად | მოთხოვნის შესაბამისად |
| 2 | უმსხვილესი ექსპორტიორი და იმპორტიორი კომპანიების ნუსხა | მოთხოვნის შესაბამისად | მოთხოვნის შესაბამისად |
| 3 | პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეკონომიკის სექტორების, ინფორმაციის წყაროებისა და ქვეყნების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 75-ე დღე | 18 აგვისტო |
| 4 | საწარმოების ნუსხა განხორციელებული უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მიხედვით ინვესტორებისა და ეკონომიკის სექტორების ჭრილში | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 75-ე დღე | 18 აგვისტო |
| 5 | უმსხვილესი ინვესტორი კომპანიების ნუსხა | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 75-ე დღე | 18 აგვისტო |
| 6 | მთლიანი გამოშვება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 7 | შუალედური მოხმარება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 8 | მთლიანი შიდა პროდუქტი მიმდინარე ფასებში | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 9 | მთლიანი შიდა პროდუქტის რეალური ზრდა | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 10 | მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 11 | მთლიანი ეროვნული შემოსავალი | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 90-ე დღე | 15 ნოემბერი |
| 12 | კომერციული ბანკების მთლიანი გამოშვება | | ყოველი თვის 30 რიცხვი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13 | დაუკვირვებადი ეკონომიკის წილი ქვეყნის მთლიან გამოშვებაში | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 15 ნოემბერი |
| 14 | სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია) | | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-3 დღე |
| 15 | მწარმოებელთა ფასების ინდექსი | | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე |
| 16 | რეგისტრირებულ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საკუთრების ფორმებისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე |
| 17 | ბიზნეს სექტორის ბრუნვის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 18 | ბიზნეს სექტორში გამოშვებული პროდუქციის მოცულობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 19 | სამრეწველო პროდუქციის წარმოება ნატურალურ გამოსახულებებში | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 20 | ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა და დაქირავებულთა საშუალო რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 21 | ბიზნეს სექტორში დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 22 | ბიზნეს სექტორში ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 23 | ბიზნეს სექტორის მოქმედ საწარმოთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონებისა და საწარმოთა ზომის მიხედვით | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 70-ე დღე | 10 ოქტომბერი |
| 24 | არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობის ამსახველი ძირითადი მაჩვენებლები (ბრუნვა, პროდუქციის გამოშვება, დასაქმებულთა რაოდენობა) | | 10 ოქტომბერი |
| 25 | ბიზნეს სექტორში ფიქსირებული აქტივები (ძირითადი კაპიტალი) ეკონომიკური საქმიანობის სახეების, რეგიონების, საწარმოთა საკუთრების ფორმების, ზომისა და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით | | 10 ოქტომბერი |
| 26 | საარსებო მინიმუმი | | ყოველთვიური - საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-15 დღე |
| 27 | სამუშაო ძალა | | 27 მაისი |
| 28 | დასაქმების დონე და დასაქმებულთა რაოდენობა | | 27 მაისი |
| 29 | უმუშევრობის დონე და უმუშევართა რაოდენობა | | 27 მაისი |
| 30 | დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი (საქმიანობის სახეების, სქესის, სამეწარმეო და არასამეწარმეო, სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორების მიხედვით) | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან მე-80 დღე | 10 ოქტომბერი |
| 31 | სიღარიბის მაჩვენებლები | | 30 მაისი |
| 32 | სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა | | 31 მარტი |
| 33 | საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა თვითმმართველი ერთეულების მიხედვით | | 30 აპრილი |
| 34 | საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკისა და სქესის მიხედვით | | 30 აპრილი |
| 35 | პირუტყვის სულადობა (მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ღორი და ფურკამეჩი, თხა და ცხვარი, ღორი, ფრინველი) | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 50-ე დღე | 16 ივნისი |
| 36 | მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება | საანგარიშო პერიოდის დასრულებიდან 50-ე დღე | 16 ივნისი |

| | | | |
|---|---|---|---|
| 37 | ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი, აღებული ფართობი, მოსავალი და საშუალო მოსავლიანობა, აგრეთვე მრავალწლოვანი კულტურების მოსავალი რეგიონულ ჭრილში | 15 აპრილი | 16 ივნისი |
| 38 | საქართველოს ტყით დაფარული ფართობი და ტყის ფონდი | მოთხოვნის შესაბამისად | მოთხოვნის შესაბამისად |
| 39 | საქართველოს დაცული ტერიტორიების ფართობი, დაცული ტერიტორიების მიხედვით | მოთხოვნის შესაბამისად | მოთხოვნის შესაბამისად |